GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2021 / 29 Ocak/იანვარი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 716.9	4 696.2	5.0 %	17.6 %	2.4 %

Gürcistan'ın Dış Ticareti 2020
საქონლით საგარეო ვაჭრობა საქართველოში 2020 წ.

2020 yılında Gürcistan'ın dış ticaret cirosu 11 347.7 milyon ABD doları teşkil etmiştir ve bu rakam bir önceki yılın aynı verilerine kıyasla %14.8 ile daha azdır. İhracat 3 342.1 milyon ABD dolar (düşüş oranı %12.0), ithalat ise – 8005.6 milyon ABD doları (düşüş oranı %15.9) olmuştur. 2020 yılında negatif ticaret bilançosu 4663.4 milyon dolara ulaşarak dış ticaret cirosunun % 41.1 teşkil etmiştir.

2020 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 11 347.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 14.8 პროცენტით ნაკლებია. აქედან ექსპორტი 3 342.1 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (12.0 პროცენტით ნაკლებია), ხოლო იმპორტი 8005.6 მლნ. აშშ დოლარს (15.9 პროცენტით ნაკლებია). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2020 წელს 4 663.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 41.1 პროცენტია.

Dış Ticaret Göstergeleri 2015-2020.
საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები 2015-2020 წწ.



2020 yılında Gürcistan'ın toplam dış ticaret cirosunda en büyük on ticaret ortağının payı %70.4 olarak teşkil etmiştir. En büyük ticaret ortakları şunlardır: Türkiye (1 597.5 mln $), Rusya (1328.2 mln $), Çin (1185.0 mln $), Azerbaycan (934.4 mln $), ABD (620.9 mln $), Ermenistan (609.9 mln $), Ukrayna (607.2 mln $), Almanya (466.8 mln $), Bulgaristan (422.7 mln $) and İtalya (216.0 mln $).

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KQC KABLO LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

2020 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 70.4 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (1 597.5 მლნ. აშშ $), რუსეთი (1 328.2 მლნ. $), ჩინეთი (1 185.0 მლნ. აშშ), აზერბაიჯანი (934.4 მლნ. დოლარი), აშშ (620.9 მლნ დოლარი), სომხეთი (609.9 მლნ დოლარი), უკრაინა (607,2 მლნ დოლარი), გერმანია (466,8 მლნ დოლარი), ბულგარეთი (422,7 მლნ დოლარი) და იტალია (216.0 მლნ დოლარი).

2020 Yılında En Büyük On Ticaret Ortağı

ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა 2020* წელს



2020 yılında Gürcistan'ın toplam ithalatında en büyük on ticaret ortağının payı %69.9 olarak teşkil etmiştir. En büyük ticaret ortakları şunlardır: Türkiye – 1407.0 mln $, Rusya – 887.2 mln $, Çin – 708.7 mln $, ABD – 540.9 mln $, Azerbaycan – 493.1 mln $, Ermenistan – 422.4 mln $, Almanya – 405.1 mln $, Ukrayna – 389.8 mln $, İtalya – 181.3 mln $, Brazil – 162.7 mln $.

2020 წელს ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 69.9 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი იმპორტიორები არიან: თურქეთი (1 407.0 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (887.2 მლნ. აშშ დოლარი), ჩინეთი (708.7 მლნ. აშშ დოლარი), აშშ (540.9 მლნ $), აზერბაიჯანი (493.1 მლნ $), სომხეთი (422.4 მლნ $), გერმანია (405.1 მლნ $), უკრაინა (389.8 მლნ $), იტალია (181.3 მლნ $), ბრაზილია (162.7 მლნ $).

2020 yılında Gürcistan'ın toplam ihracatında en büyük on ticaret ortağının payı %75.9 olarak teşkil etmiştir. En büyük ticaret ortakları şunlardır: Çin – 476.3 mln $, Azerbaycan – 441.3 mln $, Rusya – 441.1 mln $, Bulgaristan – 312.3 mln $, Ukrayna – 217.3 mln $, Türkiye – 190.5 mln $, Ermenistan – 187.5 mln $, İsviçre – 160.8 mln $, İspanya – 83.7 mln $, ABD – 80.0 mln $.

2020 წელს ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 75.9 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნები არიან: ჩინეთი (476.3 მლნ. აშშ),

აზერბაიჯანი (441.3 მლნ. აშშ), რუსეთი (441.1 მლნ. აშშ), ბულგარეთი (312,3 მლნ $), უკრაინა (217.3 მლნ $), თურქეთი (190.5 მლნ $), სომხეთი (187.5 მლნ $), შვეიცარია (106.8 მლნ $), ესპანეთი (83.7 მლნ $), აშშ (80.0 მლნ $).

Devlet Mülkiyetinin Özelleştirilmesine Yeni Yaklaşım
სახელმწიფო ქონების პრივატიზაციისადმი ახალი მიდგომა

Gürcistan Başbakanı Sn. Giorgi Gakharia ekonomik ekibi ile beraber bir araya geldi. Çalışma toplantısına Başbakan Yardımcısı, Bölgesel Kalkınma ve Altyapı Bakanı Maia Tskitishvili, Finans Bakanı Ivane Machavariani, Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Natia Turnava katıldı. Toplantıda devlet mülkiyetinin özelleştirilmesi ile ilgili konular ve sürecin hızlandırma planı tartışıldı.

Toplantıda devletin sahipliğindeki işletmeler konusu da ele alınmıştır. Devlet, mülkiyetinin aktif olarak özelleştirilmesini, ekonominin hızlı bir şekilde toparlanması, istihdamın yeniden sağlanması ve ülkede yeni yatırımların teşvik edilmesi açısından önemli olduğun vurgulamıştır.

Hükümet, devlete ait olan işletmelerde kurumsal yönetişim standardının iyileştirmek için bir reform başlattığı da kaydeti. Bu bağlamda Finans Bakanı Ivane Machavariani liderliğinde özel bir çalışma grubu da kurulmuştur.

გიორგი გახარიამ ეკონომიკური გუნდის წევრებთან სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის დაჩქარების გეგმა განიხილა. სამუშაო შეხვედრაში ვიცე-პრემიერი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი, ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა მონაწილეობდნენ.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ საწარმოების საკითხსაც. ხაზი გაესვა, რომ სახელმწიფო ქონების აქტიური პრივატიზაცია მნიშვნელოვანია ეკონომიკისა და სამუშაო ადგილების სწრაფი აღდგენისთვის და ქვეყანაში ახალი ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობისთვის.

ასევე აღინიშნა, რომ მთავრობა იწყებს სახელმწიფო საწარმოთა რეფორმას, საწარმოთა კორპორატიული მართველობის სტანდარტის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე ფინანსთა მინისტრ ივანე მაჭავარიანის ხელმძღვანელობით სპეციალური სამუშაო ჯგუფი შეიქმნა.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KQC KABLO LC WAIKIKI ნაფარეული MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

Gürcistan Başbakanı EBRD Genel Müdürü ile Bir Araya Geldi
საქართველოს პრემიერ-მინისტრი EBRD-ის გენერალურ დირექტორს შეხვდა

Gürcistan Başbakanı Giorgi Gakharia, Kafkasya'daki Avrupa İmar ve Kalkınma Bankası (EBRD) Bölge Müdürü Sn. Katarina Bjorlin Hansen ile bir araya geldi.

Hükümet Başkanı ideal ilişkisi ve işbirliği için Avrupa İmar ve Kalkınma Bankası'na teşekkür eder, Gürcistan'ın kalkınmasında çok önemli bir rol oynadığını belirtti.

Görüşme sırasında, Gürcistan EBRD yatırımlarının en büyük faydalanıcılarından biri olduğu kaydedildi. Portföyü enerji sektöründen tarıma kadar çeşitlendirilmiş olup, ülke ekonomisinin kalkınmasında, özellikle pandemi döneminde önemli bir katkı sağlamaktadır.

EBRD Bölge Müdürüne göre, Gürcistan Hükümeti ve Avrupa İmar ve Kalkınma Bankası arasındaki işbirliği mükemmel olarak değerlendirilebilir. Sn. Hansen'in belirttiği gibi 2020 yılı belirlenen hedeflere ulaşma açısından en başarılı bir yıl oldu.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის(EBRD) რეგიონულ დირექტორს კავკასიაში კატარინა ბიორლინ ჰანსენს შეხვდა.

მთავრობის მეთაურმა EBRD-ს მადლობა გადაუხადა სამაგალითო თანამშრომლობისთვის და აღნიშნა, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი არა მხოლოდ საქართველოს ძალიან კარგი პარტნიორია, არამედ მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის განვითარებაში.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველო, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, EBRD-ის ინვესტიციების ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ბენეფიციარია. მისი პორტფოლიო ენერგეტიკის სექტორიდან სოფლის მეურნეობამდე არის დივერსიფიცირებული და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, განსაკუთრებით COVID-პანდემიის პერიოდში.

EBRD-ის რეგიონული დირექტორის შეფასებით, საქართველოს მთავრობასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შესანიშნავი თანამშრომლობა აკავშირებთ და დასახული მიზნების განხორციელების კუთხით გასული წელი საუკეთესო იყო.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC Ermed GEORGIA İŞBANK KQC KABLO LC WAIKIKI ნაფარეული MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

Başbakan, İran İslam Cumhuriyeti Dışişleri Bakanı İle Bir Araya Geldi
პრემიერი ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა

Gürcistan Başbakanı Giorgi Gakharia, İran İslam Cumhuriyeti Dışişleri Bakanı Mohammad Javad Zarif ile bir araya geldi.

Bölgedeki mevcut durumu ve son gelişmeler, bölgenin ekonomik kalkınmasında ve istikrarının sağlanmasında Gürcistan'ın önemli rolü toplantının ana konulardı.

Toplantı sırasında iki ülke arasındaki ticari ve ekonomik ilişkilerin güçlendirilmesi, ülkeler arasındaki lojistik ve ulaşım sektöründeki potansiyel ve bu alandaki zorlukların zamanında çözülmesinin önemi ayrı bir şekilde ele alınmıştır.

İran İslam Cumhuriyeti Dışişleri Bakanı, Gürcistan'ın toprak bütünlüğüne ve egemenliğine sarsılmaz destek tekrar yineledi.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ მუჰამედ ჯავად ზარიფს შეხვდა.

საუბრის მთავარი თემები იყო რეგიონში არსებული ვითარება, ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები და საქართველოს მნიშვნელოვანი როლი რეგიონის ეკონომიკური განვითარების და სტაბილურობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ხაზი გაესვა ორ ქვეყანას შორის არსებული სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების, ორი ქვეყნის სატრანზიტო, სატრანსპორტო კომუნიკაციის განმტკიცებას და ამ კუთხით არსებული პოტენციალის გამოყენებას, ასევე ამ სფეროებში არსებული სირთულეების დროულად მოგვარების მნიშვნელობას.

ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი ურყევი მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაადასტურა.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაფარეული MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

Korona Virüs

კორონა ვირუსი

Gürcistan'da doğrulanmış korona virüs vakalarının sayısının düşüş eğilimi devam ediyor. Bu hafta içerisinde doğrulanmış vaka sayısı 4 982'e ulaştı (ortalama: 711 kişi/gün). Tespit edilen vaka sayıları ile Tiflis bölgesi tekrar ön sıradadır.

Son istatistik verilerine göre Gürcistan'da doğrulanmış korona virüs vakalarının toplam sayısı 256 956'e ulaştı. Can Kaybı – 3148, iyileşenlerin sayısı – 247 096, aktif vaka ise – 6 712. Halihazırda hastanelerde 2731, otellerde ise 322 kişi tedavi görüyor, 521 kişi ise karantinadadır. Son verilere göre ülke çapında 2 177 448 test yapıldı.

Dünya çapında ise korona virüs vakalarının sayısı 102 milyona aşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı – 102 104 319, Can Kaybı – 2 202 627, iyileşen kişi sayısı – 73 960 996. En çok vaka sayısı ABD, Hindistan, Brezilya, Rusya ve İngiltere'de görülmüştür. Konu ile ilişkin diğer detaylar aşağıdaki tabloda bulunmaktadır.

ბოლო კვირის განმავლობაში საქართველოში კორონა ვირუსის დადასტურებული შემთხვევების რაოდენობის კლების ტენდენცია გრძელდება. მიმდინარე კვირას დადასტურებულ შემთხვევათა რაოდენობა 4982-ს უტოლდება (711 კაცი საშუალოდ დღეში). ინფიცირების მაღალი მაჩვენებლებით ისევ დედაქალაქი გამოირჩევა.

საბოლოო სტატისტიკური მონაცემების თანახმად კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა საქართველოში 256 956 შეადგინა. აქედან გარდაიცვალა 3148, გამოჯანმრთელდა 247 096, ხოლო 6 712 აქტიური შემთხვევაა, რომელთაგანაც 2731 სტაციონარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, 322 პაციენტი კი სასტუმროში გადის მკურნალობას. კარანტინის რეჟიმშია 521 ადამიანი. ქვეყნის მასშტაბით ჯამურად 2 177 448 ტესტი გაკეთდა.

კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით 102 მილიონს გადააჭარბა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 102 104 319 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 2 202 627, ხოლო გამოჯანმრთელდა 73 960 996 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული აშშ-ს, ინდოეთს, ბრაზილიას,რუსეთს და დიდ ბრიტანეთს ჰყავს. საკითხთან დაკავშირებული დამატებითი მონაცემები ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეგიძლიათ იხილოთ.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC Ermed GEORGIA İŞBANK KQC KABLO LC WAIKIKI ნაფარეული MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

Ülke ქვეყანა	Toplam Vaka დაავადებული	Can Kaybı გარდაცვლილი	İyileşme გამოჯანმრთელებული	Hasta პაციენტი
ABD / აშშ	26 338 607	443 769	16 070 127	9 824 711
Hindistan/ ინდოეთი	10 720 971	154 047	10 394 352	172 572
Brezilya / ბრაზილია	9 060 786	221 676	7 923 794	915 316
Rusya / რუსეთი	3 813 048	72 185	3 255 462	485 401
İngiltere / დიდი ბრიტანეთი	3 743 734	103 126	1 673 936	1 966 672
Fransa / საფრანგეთი	3 130 629	74 800	220 570	2 835 259
Ispanya / ესპანეთი	2 792 360	57 806	N/A	N/A
İtalya / იტალია	2 515 507	87 381	1 953 509	474 617
Türkiye / თურქეთი	2 457 118	25 605	2 340 216	91 297
Almanya / გერმანია	2 194 562	56 220	1 898 900	239 442
Gürcistan / საქართველო	256 956	3 148	247 096	6 712
Total (Dünya) სულ (მსოფლიო)	102 104 319	2 202 627	73 960 996	25 940 696

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 3.2995 TRY/GEL – 0.4485 EUR/GEL – 3.9973 GBP/GEL – 4.5088

USD/GEL

22 - 29 Ocak 2021

USD/TRY

22 - 29 Ocak 2021

TRY/GEL

22 - 29 Ocak 2021

ALTIN – 59, 355.58 kg/usd

22 - 29 Ocak 2021

AK YIL ZEMİN ARKAS GEORGIA LLC Ermed GEORGIA İŞBANK KQC KABLO LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası